წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №13

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 31 აგვისტო

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დარეჯან დადიანი

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, თეა ხასაია, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: მაია მიქავა, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დათა კუკავა,ბაჩუკი უბილავა, ნონა გუჩუა, დათა აკობია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის მოადგილე ცოტნე შონია, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 12: 35 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 25).

დღის წესრიგი:

1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **თეა სარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის N2 დადენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელი: **ცოტნე შონია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის შესახებ

მომხსენებელი: **თემურ მებონია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსი

4.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **თემურ მებონია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსი

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **თემურ მებონია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსი

6. სხვადასხვა.

მოისმინეს : 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 - ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია, ირაკლი ხარჩილავა) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N14).

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის N2 დადენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

საკითხი წარმოადგინა მერის მოადგილემ ცოტნე შონიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 - ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია)მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N15).

მოისმინეს: 3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსმა თემურ მებონიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 - ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია)მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N26).

მოისმინეს: 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსმა თემურ მებონიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N27).

მოისმინეს: 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსმა თემურ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N28).

მოისმინეს: 5.სხვადასხვა

საკრებულოს წევრმა ირაკლი ხარჩილავამ აღნიშნა, რომ მას აქვს ინფორმაცია ომუნეს ჯიხას მიმდებარედ მეგრული ოდის განთავსების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ განმარტა , რომ მეგრულის ოდის ომუნეს ჯიხას მიმდებარედ განთავსებაზე იყო აზრთა სხვადასხვაობა და საბოლოოდ გადაწყდა აღნიშნული ოდის სხა ადგილას განთავსების.

საკრებულოს წევრებმა უფრო მიზანშეწონილად ჩათვალეს პირვანდელი პროექტით გათვალისწინებულ ადგილას განთავსება.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და მოსახლეობასთან კოორდინირებულად მოხდეს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე დარეჯან დადიანი